# The Mentality Conveyed by the Epitaphs
# (According to the Materials of Western Georgia)

# ეპიტაფიებით გადმოცემული მენტალობა
# (დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით)

**Davit Shavianidze**
Doctor of History. Ethnologist.
Associate Professor of Akaki Tsereteli
State and Kutaisi Universities.
Georgia Kutaisi. Queen Tamar 59
Georgia Kutaisi. Tsereteli Street 13
david.shavianidze@atsu.edu.ge
Davit.shavianidze@unik.edu.ge
599-49-47-70
ORCID ID 0000-0002-0568-1226

**Abstract**

The epitaphs found in several communities of Western Georgia and brought out for discussion by us reveal the ethnos's worldview, specific personal and general humanity approach-characteristics, way of life; The definition of Georgians' "**very distinctive humanity**" is being written.

**By complex ethno-historical research it is also determined that:**

**1**. About man's responsibilities in God-given life (**Minute World**): "You have to build with love to be able to **boldly** present yourself at the last trial; Grateful to have the **freedom** to ask God for forgiveness. The ground felt like a **mother's care**.

The term' turning into land(losing one's life) has not only physical meaning, but 'also being received by land according to the nature'.

**2**. The cross, the church, and the candle, a symbol of faith displayed on the graves of the elderly and infants, indicate that those who "**flew to God**" were baptized.

The first thing a Georgian man would think of for a **deadly doomed was christening**. **The myrrh-receiver would pass away, approach God**. The human soul, nurtured by Christianity, joins God.

Death is a fear of disappearing "without name and surname. Death brings not fear but grief.

**3**. „**The word of kindness and truly human being**" is also dedicated to the deceased person in Georgia.

**4**. The personality of the deceased, sometimes too positively expressed in a sense of calmcontentment beyond the "**left behind" "is a sign of the right way of life**."

**5**. Serving for those who died outside, rules to bring souls home. Emotional expression of human nature.

**6**. One word carved on the tombstones - **the Daughter** (raised, exalted) reflects the cultural-social identity of the Georgians, that she was a woman, is an executor of the national mission. "**Woman is the guarantee of equality, dignity, purity, earthly motherhood, and being an angel of the house in Georgia.**"

**7.** The cases of usage of old Georgian names of month and among them names describing religious signs appear in XX century epitaph, as well as in epigraphic and written monuments.

**8.**. In the middle of the XX century, the custom of dedicating tombstones "**painted**" with a photograph and an "**enlarged inscription**" as a sign of respect for the deceased was common.

**Keywords:** Epitaph; Western Georgia; The worldview of the ethnos; Ethno-historical research; Daughter; "Fruitful life"; Death and passing away; Angelic dignity; Love and bearing the cross.

**დავით შავიანიძე**
ისტორიის დოქტორი. ეთნოლოგი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო და ქუთაისის
უნივერსიტეტების ასოცირებული პროფესორი.
საქართველო, ქუთაისი. თამარ მეფის 59
საქართველო, ქუთაისი. წერეთლის ქუჩა 13
david.shavianidze@atsu.edu.ge
Davit.shavianidze@unik.edu.ge
599-49-47-70
ORCID ID 0000-0002-0568-1226

**აბსტრაქტი**

დასავლეთ საქართველოს რამდენიმე თემში ჩვენ მიერ მოძიებული და სამსჯელოდ გამოტანილი ეპიტაფიებით ირკვევა ეთნოსის მსოფლაღქმის, კონკრეტულ-პიროვნული და ზოგადადამიანური მიდგომა-მახასიათებლების, ცხოვრების წესის შესახებ; იწერება ქართველთა „**ბევრით გამორჩეული ადამიანურობის**“ დეფინიცია.

**კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით დგინდება:**

**1.** ღმერთის მიერ ბოძებულ ცხოვრებაში(/„**წუთის სოფელი**“) ადამიანის ვალდებულებების შესახებ: „სიყვარულით უნდა აშენო, რომ ბოლო სამსჯავროზე შეძლო **თამამად** წარდგომა; მადლიერს გქონდეს **თავისუფლება** ღმერთისთვის მიტევების თხოვნისას. მიწა **დედის კალთის მსგავსად** იგრძნო“.

„მიწად ქცევას აქვს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ „**მიწისგან მიღების ბუნებით წესად**“ მიღების დატვირთვა.

**2.** უასაკოთა და დაბალი ასაკის ბავშვების საფლავებზე გამოხატული, მრწმენობის სიმბოლო ჯვარი, ეკლესია და სანთელი გვანიშნებს, რომ „**ღმერთთან გაფრენილი**“ მონათლული იყო.

ქართველი კაცი პირველად რასაც **სასიკვდილოდ გადადებულისთვის მოიფიქრებდა, იყო მონათვლა. მირონმიღებული გარდაიცვლებოდა, ღმერთთან მივიდოდა**. ქრისტიანობით ნასაზრდოები ადამიანის სული მიემართება ღმერთს.

**სიკვდილი** „**უგვაროდ/უსახელოდ გაქრობის**“ შიშია. **გარდაცვალებას** შიში არა, მწუხარება მოაქვს.

**3.** გარდაცვლილს საქართველოში „**კეთილკვალიანობის, ნაღდადამიანობის სიტყვას**“ უძღვნიან.

**4.** გარდაცვლილის პიროვნულობის, ზოგჯერ ზედმეტადაც დადებითად წარმოჩენა ჭირისუფლის სიმშვიდე-კმაყოფილების განცდას იქით, „**უკან დარჩენილისთვის სწორად ცხოვრების წესის მინიშნებაა**“.

**5.** სახლს გარეთ გარდაცვლილის მსახურების, სულის სახლში მოყვანის წესი. ადამიანური ბუნების ემოციური გამოხატულება.

**6.** საფლავის ქვებზე ამოკვეთილი ერთი სიტყვა -**ასული** ქართველთა იმ კულტურულ-სოციალური იდენტობის ამსახველია, რომ ქალი იყო, არის ეროვნული მისიის შემსრულებელი. „**ქალი ქართულობაში თანასწორობის**, **ღირსება-სიწმინდის**, **მიწიერი ღვთისმშობლობის**, **ფუძის ანგელოზობის გარანტია**“.

**7.** ეპიგრაფიკულ და წერილობით ძეგლებში დადასტურებულის მსგავსად, XX საუკუნის ეპიტაფიებშიც გვხვდება თვეთა ძველქართული, მათ შორის რელიგიური ნიშის აღმნიშვნელი სახელწოდებების გამოყენების შემთხვევები.

**8.** XXს. შუა ხანებში გარდაცვლილისთვის პატივისცემის ნიშნად გავრცელებული იყო ფოტოთი და „**გადიდებული წარწერით**“ „**მოხატული**“ საფლავის ქვების მიძღვნის წესი.

**საკვანძო სიტყვები:** ეპიტაფია; დასავლეთ საქართველო; ეთნოსის მსოფლაღქმა; ეთნოისტორიული კვლევა; ასული; „კვალიანი ცხოვრება“; გარდაცვალება და სიკვდილი; ანგელოზებრივი ღირსება; სიყვარული და ჯვრის
მზიდველობა.

**შესავალი**

საკვლევი დრო - XIX საუკუნის მესამე მეოთხედიდან, XX საუკუნის ჩათვლით.

ქართველთა მსოფლაღქმის ამსახველი ეპიტაფიებით გადმოცემული კვლევის ძირითადი საკითხები: რწმენიანი ცხოვრების, წუთის სოფელთან „გააზრებული“ დამოკიდებულებები; მიცვალებულის სულისადმი მსახურების, „საიქიოსთან“ მიმართების, შენდობის მთხოვნელის სურვილისა და უფლებიანობის, სოციალურ-კულტურული ურთიერთობების, კულტურათა გავლენა-შერევის, საფლავის ქვების წარწერა-ნახატობებით და სიმბოლოებით გადმოცემული შინაარსის შესახებ; რომ სიკვდილი „კვალის და სახელის არდატოვებაა, უბრალოდ მიწად ქცევაა“. გარდაცვალება, მიწისგან მიღებას, „შენ მიერ თავის მაგალითად დატოვებას“ აღნიშნავს.

ეპიტაფიებით გადმოცემულ სინამდვილეს ვამყარებთ სხვადასხვა დროს, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მოძიებული მასალებით.

**მეთოდები**

საზოგადოებრივ-კულტურული, სოცილურ-ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ამსახველი ეპიტაფიების კვლევის დროს გამოვიყენეთ: საველე კვლევა-ძიების, აღწერილობითი, გამოკითხვისა და ანალიზის, შედარებითი ანალიზის მეთოდები; კვლევის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი.

**შედეგები**

ეპიტაფიები მიგვანიშნებენ ინდივიდის, სოციუმის, მთლიანად ეთნოსის ხედვაზე; გარდაცვლილის ცხოვრებისეულ ხვედრზე.

ჩვენი საკვლევი, მცირე ფორმიანი, ძირითადად ლექსად თქმული ეპიტაფიები არის უფლისადმი მიმართვა, რომ: მიცვალებული იქნას შენდობილი და ცხონებული; დადასტურებაა მიცვალებულის გულისწყვეტისა და წუხილის, რომ დატოვა მიწიერი და „**სიხლ-ხორცი**, **მტერ-მოყვარე**“.

განირჩევა გარდაცვალება/„**მიწისგან მიღება**“ და „**ამაოებით მცხოვრები სიკვდილი/„უხსენებელად გაქრობა**“.

ირკვევა ნათესაური ურთიერთობების, ტრადიციული ცხოვრების სხვადასხვა წესის შესახებ.

მხატვრულობის თვალსაზრისით გამორჩეული ეპიტაფიები ემოციითაა დატვირთული.

**მსჯელობა**

ეპიტაფიით გადმოცემული, „მონაყოლი“ ისტორია ადამიანური ცხოვრების წესის ერთგვარი იდეოლოგიაა.

ღმერთის მიერ ბოძებულ ცხოვრებაში(/„**წუთის სოფელი**“) ადამიანის ვალდებულებაა „სიყვარულით ხელმძღვანელობა“, ურთიერთობების ისე შენება, რომ „ბოლო სამსჯავროზე“ შეძლო „**თამამად** წარდგომა“ (**შდრ**.: პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს: „ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისთვის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს“ [რომ. 14, 12]), რომ ჭირისუფალს ჰქონდეს „**თავისუფლება**“ ღმერთისთვის შენი მიტევების თხოვნისა.

**ეთნოგრაფიული მასალა**: „კაცი ისაა, ვინც წუთის სოფელში სახელიანი გვარი დატოვა“ (ლეჩხუმური მასალები); „კაცმა კვალი უნდა ქნა, სახსენებელი. უფლისთვის შენი სახელის შემვედრებელიც თამამი იქნება“ (იმერეთი. ოკრიბული მასალები); „მოკვდები? ივიწყები. არაფერი ყოფილხარ. უნდა შეძლო ახსოვდე, პატივს გცემდეს ყველა“ (დიდაჭარის მასალები); „საკუთარი ხსოვნა უნდა დატოვო, რომ თავისუფალი იყოს და არ გაუჭირდეს კაცს შენი ხსენება“ (სამეგრელოს მასალები); „ადამიანმა უნდა მოახერხო ის, რომ უკან დარჩენილმა შენი ცხონებისთვის იფიქროს“ (სვანეთის მასალები); „სადღეგრძელო მოვალეობისთვის არ უნდა თქვას კაცმა წასულის“ (რაჭული მასალები); „სათნო და გულწრფელი თანაგრძნობის ადამიანი გზას გიწალდავს. გარდაცვლილის და არა უკვალოს, უხსენებელის ჭირისუფალიც თამამია და თავისუფალი ღმერთისთვის შენი სულის თხოვნისას“ (სვანეთი. ჟახუნდერის მასალები).




ქუთაის. „საფიჩხიის“ სასაფლაო



ვანი



ჭიათურა. ხალიფაურის სასაფლაო აჭარა

მიცვალებული „შესანდობარის თქმის“, ეპიტაფიებით გადმოცემული და ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებული ხალხური წესი ქრისტიანული მიტევების იდენტურია.






ჭიათურა. ხალიფაურის სასაფლაო ქუთაისი. „საფიჩხიის“ სასაფლაო

აჭარა

**ეთნოგრაფიული მასალა**:

„ხალხის განსჯა ასეთია, მიწიერიდან გასულს ჭიქას უნდა წაუქციო, კეთილმახსენებლ ად ჰყავდე“ (მთხრობელი გ. ხურციძე. ვანი. ძულუხი. 2013).

„გარდაცვლილისთვის შესანდობარის თქმა დიდი ღმერთისგან შენი დალოცვაცაა. შენგან სახსოვარის არ მოწყენა, უქმობა, გლოვა ჭირისუფალს აბედნიერებს, შენ მადლი გეწევა, სხვასაც ჭირის განცდას ასწავლი“ (მთხრობელი თ. ბიბილეიშვილი. ორპირი. 1995).

ირკვევა, რომ ქრისტიანულით ნასაზრდოები ადამიანის სული მიემართება ღმერთს; სიკვდილი „**უგვაროდ**, **უსახელოდ გაქრობაა**, გარდაცვალება „**მიწისგან მიღებაა**“.



ქუთაისი. „ავანგარდის“ სასაფლაო



სალხინოს „ვახის უბნის“ სასაფლაო

„სიკვდილი არა მხოლოდ შიშის, სირცხვილის მომგვრელიც არის. სიკვდილის წინაშე სირცხვილი არის მტკიცებულება იმისა, რომ იგი ადამიანური ცოდვის შედეგია. სირცხვილი უცილობელი ნიშანია ჩვენი უკვდავი წარმომავლობისა და იმისაც, რომ უკვდავებისათვის ვართ განკუთვნილნი“ (წმინდა ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) http://sibrdzne.ge/19087 დადასტურება 7. 05. 2022); „ხოლო კაცნი ქუეყანით დავიბადენით, და კვალად მუნვე ქუეყანად და მიწად მივიქცევით ჩუენ, ვითარცა-იგი ჰსთქუ შემოქმედმან ჩემმან და მიბრძანე, ვითარმედ მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“ (წესი, რომელსა ასრულებს ერის-კაცი მიცვალებულისათვის სახლში და საფლავსა ზედა,თბ., 1989).

**ეთნოგრაფიული მასალები**:

„ღმერთის მიერ განგებული ცხოვრება უნდა გაიხადო ნორმად, უამრავ საცდურს და „გამოსაცდელს“ უნდა გაუძლო, რომ „უბრალოდ მიწად კი არ იქცე, მიწამ მიგიღოს“ (მთხრ ობელი მოშოდი არქანია. მუჟავა. 2012).

„მიწად ქცევას ვერ ასცდები, მაგრამ კაცი მიწამ შვილივით უნდა მიგიღოს ისე, რომ მიწის დაფიცებაში ჩაეტნე“ (მთხრობელი გ. კირკიტაძე. ოკრიბა. მუხურა. 1994);

„მიწად ქცევას ადამიანმა „**საკუთარი კანონი მოუძებნა**“. გაზრდაში ჩაუნერგავდნენ, რომ: „მიწად ქცევა შენთვის მიწის საბან-სასთუმლად ქცევაა“ (მთხრობელი ლ. გოლეთიანი. ლეჩხუმი, ნაკრალეში)..

„მიიბარა მიწამ ნიშნავს იმას, რომ ღმერთის წესით, ღირსებით ცხოვრობდა. არ მოვკვ დეო ეფიქრებოდა და გარდაიცვალა, ღმერთთან მივიდა. მიწისგან მიღებულია“ (მთხრობელი ნ. ლომთაძე. ჯონია. 1995).

„... ამ ქვეყნად თუ არ ვარგიხარ, იქაც არავის სჭირდები.
ისეთ დროს უნდა წახვიდე, ისეთ დროს უნდა კვდებოდე,
ამ ქვეყნად ენანებოდეთ იმ ქვეყნად ებარებოდე“

(ქალაქ სამტრედიის სასაფლაო)

კომპლექსურ ეთნოისტორიული კვლევით ირკვევა, რომ გარდაცვალების და არა „უსახე ლგვარო“ სიკვდილის, „მიწისაგან მიღების“ და არა უბრალოდ „მიწად ქცევის“ უმთავრესი საფუ ძველი სამშობლო ქვეყნის მსახურებაა. აღნიშნულის მაგალითად მოჰყავთ ახლო წარს

ულის სინამდვილე, რომ კომუნისტური რეჟიმის პერიოდის აქტიურმა, „საერთო საბჭოთა სამშო ბლოს“ იდეოლოგიამ შედეგი ვერ გამოიღო. რეჟიმის „სწავლების“, კარნახის მიუხედავად „ეროვ ნული ნერგი ხარობდა“, ხერხდებოდა ათასი სჯულის მტრისგან ნაჯიჯგნი, ბოლოს ერთმო რწმუნე რუსისგან დაპყრობილი სამშობლო საქართველოსთვის თავდადების იდეა.

**ეთნოგრაფიული მასალა**:

„კაცი მაშინ ხარ, თუ ქვეყანას მტლად დაედები“ (იმერეთი. ოკრიბული მასალები); „გაგვამაჰმადიანეს, მერე რუსმა მოგვისწრო, „რუსკომუნისტობამ“ სამშობლოს გაგების გაქრობა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხეს“ (აჭარული მასალა); „ჩვენ ვიცოდით სამშობლო მიწის, მშობელი ქვეყნის ფასი“ (გურია. ჯიხეთი); „შენი სამშობლოს დაცვა საქმე მაშინაა, როცა გიშლიან და გავიწყებენ მას“ (თუშეთი. ომალო).

ეთნოგრაფიული მასალებით გადმოცემული სინამდვილე ასახულია ქართულ პოეზ იაშიც. მაგალითად დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ ლექსს, პოეტ ზურაბ გორგილაძისას. ლექსი „აჭარელი ვიყავ განა“ განმსჭვალულია სამშობლოს მსახურების პათოსით, აღწერილია აჭარ ელთა ქმედებანი ეროვნულობის გადარჩენისათვის. აჭარლობა ლექსის მიხედვით საქართვე ლოს ყველა კუთხის მკვიდრი ქართველისგან სამშობლო ქვეყნის დაცვა-ზრუნვის, მსახურების მაგალითია. დიდი ქართველი პოეტის საფლავის ქვის ეპიტაფია: „...იდიდგულე რომ ამფერი აჭარელი გყავდა განა“, სწორედ აღნიშნულის მინიშნებაა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვისის მკვიდრ დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „მონობაში გატანჯულო დაუვიწყარო მამავ! შენი ნატვრა აღსრულდა საქართველო განთავისუფლდა“.

საკუთარი თავის ვნების თავიდან აცილების, ქრისტიანულ-რელიგიური სწავლების ცოდნაა გარდაცვლილისთვის კეთილკვალიანობის, ნაღდადამიანობის სიტყვის მიძღვნა.

ქუთაისი. „საფიჩხის“ სასაფლაო

**შდრ**.; „კარი, რომლითაც ჩვენში განკითხვის ვნება შემოდის, არის ცუდუბრალო საუბრები“ (მამა ვალენტინი მორდასოვი. მოძღვრის ძალაზე სასარგებლო რჩევები მრევლისთვის. Sibrdzne.ge/20323 გვ. 92 დადასტურება 7.05.2022).

**ეთნოგრაფიული მასალა**:

„გარდაცვლილის ქვაზე ცუდის არ დაწერის, გარდაცვლილის პიროვნულის დადებითად წარმოჩენის „**გაგება**“ ჭირისუფლის სიმშვიდე-კმაყოფილების განცდაა. უკან

დარჩენილებისთვის სწორად ცხოვრების მინიშნება, ადამიანური წესია“ (მთხრობელი გ. გვიჩიანი. ლატალი. 2015).

„გარდაცვლილის დახასიათების ისე მიღება, როგორც გვეუბნება საფლავის ქვაზე დაწერილი, თანაგრძნობაა, ადამიანობის მინიშნებაა ცოცხლისთვის. გარდაცვლილზე ცუდის თქმა, ტყუილი ლაპარაკია. ღმერთს არ მოსწონს შენი ეს სიავე. გზახსნილიც არ გაქვს სანათლოში (/სასუფეველი)“ (მთხრობელის. თ. ქარქაშაძე. ოკრიბა, ორპირი. 1994).

ეპიტაფიებით ირკვევა გარდაცვლილთან დამოკიდებულების, ტრადიციული მსოფლაღქისგან განსხვავებული მიდგომებიც.

„აქ განისვენებს კალდერონ რუდა,
ის დაგვიტოვა სუყველას დარდად,
კარგს აკეთებდა ძალიან ცუდად,
ცუდს აკეთებდა ძალიან კარგად..."

**ან კიდევ**

„მე აქანე უნდა ვლპებოდე და შენ კიდევ ცოცხალი დეიარებოდე“?

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე იდასტურებს ეპიტაფიას და იქვე იხსენებს ბავშვობის დროინდელ ამბავს, რომელსაც თავად შესწრებია: „იმერეთის ერთ სოფელში გარდაიცვალა „დანოსების“ წერაში დახელოვნებული კაცი, განსვენებულს ხმამაღლა აქებდნენ: „რა კაცი დავკარგეთო", მაგრამ, როდესაც ასაფლავებდნენ ჩემ გვერდით მყოფმა მეორეს ხმადაბლა გადაულაპარაკა: „კალამი არ გაატანონ, თუ არა იქ ააოხრებს ყველაფერსო...“. მსგავსი სინამდვილე იქვე აღწერილი აქვს ეთნოლოგ როზეტა გუჯეჯიანს: „ჩემს სოფელშიც ყოფილა ერთ ასეთი და მერე სხვა მხარეში გადასულა საცხოვრებლად. შვებით ამოუსუნთქავს სოფელს. კარგა ხნის ხნის შემდეგ ეს კაცი ამოსულა სოფელში და მეზობლებთან დაუჩივლია, კარგად მოვეწყვეთ, ყველაფრით კმაყოფილები ვართო, მაგრამ კარის მეზობელი მყავს „შპიონიო“. გასცინებია აქაურ მეზობელს, - ბატონო, როგორი ყოფილა კარზე „შპიონიო“ (სერგო ვარდოსანიძის „ფეისბუკგვერდი“ - https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=298-6062178375930&id=100009165324722 დადასტურება 12.05.2022).

აღნიშნულის მსგავსი ეპიტაფიები ჩვენ არ შეგვხვედრია, თუმცა ეთნოგრაფიული მასალები ჩაგვიწერია.

**ეთნოგრაფიული მასალა**:

„გაუძღვება ნაცხოვრების წესი, უმართებულო სიმართლე“ (ოკრიბა. სოფ. ძმუისი); „რაც იყო ისე არ დაავიწყდებათ, მიწაც ისე მიიღებს (საჩხერე. სოფ. კორბოული)“; „ისე ცხოვრობდა არ იქნება ღმერთთან“ (ლეჩხული. სოფ. ნასპერი); „კაცის ხსოვნას რომ ხათრით, ან მარტო წესით იტყვიან, მის ქვაზე რაც გინდა ის დააწერე“ (რაჭა. სოფ. ცახი); „საფლავის ქვაზე დაწერილი და დახატული ჯვარი არაფერია, თუ მისი გარდაცვალების მერე ქეიფობენ“ (ბოლნისი. სოფ. ტანძია); „სიცოცხლეში „უჯიათი“ აქე რამდენიც გინდა“(ბაღდათი. სოფ. ფერსათი)...

ხაზგასმით აღვნიშნავთ, მსგავსი „**შემამკობელნი**“ ერთეულთა მისამართითაა თქმული და ერთეული შემთხვევებია. აქტიურია ქრისტიანული სწავლება, რომ, როგორც ქრისტემ მოგვიტევა, ჩვენც ისე უნდა მივუტევოთ („კოლასელთა მიმართ წერილი“ 3:13); თუ ჩვენ მივუტევებთ ადამიანებს შეცოდებებს, ჩვენც მოგვეტევება ზეციერი მამისგან. თუ არ მივუტევებთ ადამიანებს შეცოდებებს, არც ჩვენ მოგვეტევება (მათეს სახარება 6:14,15).

უასაკოთა და დაბალი ასაკის ბავშვების საფლავებზე გამოხატული რწმენის, მრწმენობის სიმბოლო ჯვარი, ეკლესია და სანთელი გვანიშნებს, რომ „**ღმერთთან გაფრენილი ანგელოზი**“ მონათლული და შეიძლება ნაზიარებიც იყო.

XX საუკუნის ეპიტაფიების კვლევით ირკვევა, რომ ქვებზე აწერდნენ ძველქართულ სახელებს, დიალექტური ფორმებითაც.



**ჩუნეშის სასაფლაო**

ვარაუდს მომაკვდავის შესაძლო ზიარებასთან დაკავშირებით განაპირობებს ჩვენ მიერ სამსჯელოდ გამოტანილი ეპიტაფიების შესრულების დრო, კომუნისტური მმართველობის, იდეოლოგიის, ეკლესიების დაკეტვა-ნგრევის, სასულიერო პირების დევნის ხანა; პერიოდი, როცა რწმენის დევნის პირობებში ხალხში გაჩნდა „**სიკვდილწამოწეული**“ ადამიანების მაზიარებელი „**პაპები**“, „**წმინდა, მონაწილე კაცები**“, „**განგებული კაცები**“.

**ეთნოგრაფიული მასალა**:

„სიკვდილის პირას მისული ადამიანი უნათლავი არ უდა დატოვო, უნდა აზიარო. წესით სასულიერომ უნდა აზიაროს. ჩემი მამის და ჩემ პერიოდში მღვდელი აღარ იყო, ეკლესიები ინგრეოდა, იხურებოდა. ამიტომ გაჩნდა კაცები, რომელსაც „პაპს“, „წმინდა, მონაწილე კაცებს“, „განგებულ კაცებს“ ეძახდნენ. ეს კაცები აზიარებნენ მომაკვდავს. კაცი, რასაც სასიკვდილოდ გადადებულისთვის მოიფიქრებდა იყო მონათვლა, რადგან მირონმიღებული ღმერთთან მივიდოდა. ზიარების მადლიც არავის ავიწყდებოდა და ამ საშუალებას ნახულობდა ხალხი“ (მთხრობელი გრ. მერკვილაძე. ოკრიბა. სოფელი ორპირი).

რელიგიური თავისუფლების დღევანდელ ეპოქაში ზიარების წესის შემსრულებელი მხოლოდ სასულიერო პირია.

„დაკრძალვა არის მიცვალებულთა მიმართ ცოცხალთა მხრიდან ნათესაური დამოკიდებულების რეალიზაცია, რაც, ერთი მხრივ, ემყარება მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ ემოციებს, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენებს სულეთზე, რაც ასევე მხოლოდ ადამიანური მოვლენაა. ამ სამყაროზე კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული, მყარი შეხედულებები ანიჭებს აზრს დაკრძალვას და მის შემადგენელ მოქმედებათა მწკრივს. ეს მწკრივი, თავის მხრივ, აგებს თვით დაკრძალვის რიტუალს..., ხოლო პრაქტიკა მიზნად ისახავს კულტურის ირაციონaლური სექტორის რაციონალური საშუალებებით რეალიზაციას“ (სურგულაძე, 2003 : 283, 284).

ზუსტად იგივე შეიძლება ვთქვათ სახლს გარეთ გარდაცვლილის მსახურების, სულის სახლში მოყვანის ადამიანური ბუნების, ემოციურ გამოხატულებაზე, წესზე.

მარტვილი. სოფელ სალხინოს ვახის უბნის ეკლესია

მთხრობელის, ნანა კობერიძის ინფორმაციით, მთაში მუშაობის დროს მოტეხილი „დიდი ტოტი“ აწ გარდაცვლილ იურის დასცემია და გარდაცვლილა. ადგილობრივი ორი მამაკაცი მამლითა და ჩონგურით წასულა მთაში მისი სულის მოსაძებნად. სურათზე ნაჩვენებია გარდაცვლილი იურის სულის უფალთან ასვლა. მთხრობელის თქმით „სულის მოძიების შემდეგ ჯვრის უფრო დიდი ნათელი დაადგა გარდაცვლილს“. **შდრ**.,დღემდე შემორჩენილი ცოდნა, რომ: „სახლს გარეთ გარდაცვლილი ადამიანის სული „გზააბნეულია და უჭირს გაგნება სულეთში. სულის ნათელში მისვლას ხელი უნდა შეუწყო და გარდაცვლილის სული სახლში უნდა მოიყვანო“.

საფლავის ქვები ქართველთა მენტალობის იმ მიმართულების შესწავლის წყაროცაა, რასაც ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის აღმატებული მდგომარეობის სახელი ჰქვია.

სალხინოს „ვახის უბნის“ სასაფლაო

მთხრობელის თქმით, „ადგილობრივებმა არ იციან, თუ ვისია საფლავი, თუმცა ქვაზე აღნიშნული მხოლოდ ერთი სიტყვა, „ასული“, ქალის ღირსებიან და კდემით ცხოვრების ქართული წესის დადასტურებად მიაჩნიათ“.

დავსძენთ, რომ ჯერ ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ვიცნობთ სხვათაგან დადასტურებულ, საფლავის ქვებზე ქალის სახელის არდაწერის, ეპიტაფიაში ქალის უგვაროდ, მამის ასულობით, ან მეუღლის გვარით მოხსენიების ერთეულ სინამდვილეს; ვიცით მსგავსი შემთხვევების ქალთა უფლებების რღვევად კვალიფიცირების არც თუ ბევრი მოსაზრების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული, ქართული მენტალობის, არამედ მისი, ტრადიციული წესის დარღვევის გამოხატულებაა.

ჩვენი მოსაზრების მტკიცებულობითი ფორმით გადმოცემის საფუძველს გვაძლევს: **1**. 1940 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არმაზისხევში გათხრების შედეგად აღმოჩენილი, 150 წლით დათარიღებული „არმაზის ბილინგვის“ ეპიტაფია (https://www.doctrina.ge/serafita1234/ დადასტურება 9.05.2022); **2**. სხვათა მიერ მოძიებული, ქალთა „უუფლებობის“ ამსახველი მსგავსი ეპიტაფიები სხვადასხვა დამპყრობთა შემოსევის, სხვადასხვა მიზეზის საფუძველზე შებღალული გენდერული უთანასწორობის ერთეული გამოვლინებაა, რადგან გვყვანდნენ: ფებრონიები, თინათინები, მელანოები, ქეთევან დედოფლები, ოთარაანთ ქვრივები, ლელა ბაჩლელები... ეროვნულობას გათანაბრებული ქრისტიანობის და ქართველობის გადარჩენისთვის მებრძოლი შუშანიკის ერთი მიზანი, საქართველოში „ლეკვისა და ლომის“ თანასწორობის, ზოგადად თანასწორობის ხმამაღალი განცხადების საფუძვლის გაძლიერება იყო.

ჩვენ მიერ დადასტურებული საფლავის ქვის წარწერა -„**ასული**“ ქართველთა იმ ტრადიციული მენტალობის გამოხატულებაა, რასაც ქალის ზედმიწევნით პატივისცემა ჰქვია, რადგან საქართველოში ქალმა (/„**ასული**“) თავად მიაღწია მისიის შემსრულებელობას, „**ღირსება-სიწმინდის**, **მიწიერი ღვთისმშობლობის**, **ფუძის ანგელოზობის, მაწაღმართებლობის, ზღურბლის სიწმინდის დაცვის გარანტად ყოფნას**“; ქალი არის ოჯახის პატრონი, **თავქალი** (/„დიასახლისი“); „**ოჯახის სარტყელი**“; „**ვარცლ-ბურჯისა**“; „**მაწესრიგებელი**“; **მაწაღმართებელი**“; „**ზღურბლის მაპატიოსნებელი**“; „**მამაკაცის ქუდის დამხურავი**“...

XXს. შუა ხანებში გარდაცვლილისთვის პატივისცემის ნიშნად გავრცელებული იყო ფოტოთი და „**გადიდებული წარწერით**“ „**მოხატული**“ საფლავის ქვების მიძღვნის წესი.

ჩხარი. ოქონის ეკლესია

ქუთაისი. „ქვიტირის“ სასაფლაო

ჩხარი. ოქონის ეკლესია

ქუთაისი „ავანგარდის“ სასაფლაო

ქუთაისში „ქვიტირის“ სასაფლაოზე მდებარე ზვიად მანჯგალაძის საფლავი საინტერესოა სხვა ორი თვალსაზრისით: **1**. წარწერით: „**როსტოველი მეგობრებისაგან**“. ზვიად მაანჯგალაძე დადიოდა და შრომობდა როსტოვში. იქ გარდაიცვალა. მისმა ქართველმა ამხანაგებმა, რომლებიც დადიოდნენ როსტოვში ზვიადთან ერთად საქმიანობისთვის, გაუკეთეს ქვა სურათით და წარწერით: „როსტოველი მეგობრებისაგან“. მეგობრებმა ასე გადმოსცეს როსტოვში მუშაობის პერიოდში დამდგარი „შრომითი ამხანაგობის“ შესახებ; **2**. საფლავი საინტერესოა ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის, ნათესაური ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით. საფლაზე დგას ქვა, რომელზეც ზვიადთან ერთად დახატულია მისი ძმადნაფიცი. ჩვენი მთხრობელის, ზვიად მანჯგალაძის მეგობრის თქმით, ეს გარდაცვლილი ძმადნაფიციც დასაფლავებულია ქუთაისში, „ქვიტირის“ სასაფლაოზე. ქვა დადგეს ზვიადის საფლავზეც მათი ძმადნაფიცობის დასტურად“.

მიგვაჩნია, რომ ზვიად მანჯგალაჯის საფლავის ქვის და მსგავსი ეპიტაფიები საინტერესო იქნება მომავლის იმ კვლევების თვალსაზრისითაც, რასაც ჰქვია „უსახსრობის და ცხოვრების ფაქტიურად ვერ შეძლების გამო, გადარჩენის მიზნით“ საქართველოდან

მოქალაქეთა სამუშაოდ გადინების აწმყოს დროინდელიც სინამდვილე. როსტოვში სამუშაოდ წასვლის მიზეზად სწორედ აღნიშნული დაასახელეს ზვიად მანჯგალაძის მეგობრებმა.

**დასკვნა**. ქართველი ქრისტეს გზაზე დგომით (/„აღდგომის მნიშვენლობის ცოდნით“) მაცხოვრის რწმენით ცხოვრებით სიკვდილს კლავდა, განაქარვებდა.

ადამიანურობა (/მტერ-მოყვარესთან სიყვარულიანი, მართალი ურთიერთობები, გარდაცვლილის სიცოცხლეში სხვისთვის კარგის მსურველობა, გულიანობა, სათნოება, კეთილ მოყვარეობა, პატიოსნება, მომთმენობა, გულწრფელობა, თანაგრძნობიანობა, ზომიერება, ერთგულება, პასუხისმგებლიანობა) ქართველის „სხვათაგან გამორჩეული ბუნებითობაა“, ცხოვრების წესია.

ეპიტაფიებით, საფლავის მოწყობის წესის (ქვაზე ნახატობები, საფლავის გალავანზე დატანილი ფიგურები) მიხედვით კვლევის დროს სასურველია გარდაცვლილის ჭირისუფლისგან ინფორმაციის მიღებაც. ამა, თუ იმ ეპიტაფიით გადმოცემული, ქართული მენტალობის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების შედარება-ანალიზი.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები


სურგულაძე, ი. (2003). *მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში.* თბილისი.

წმინდა ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) http://sibrdzne.ge/19087 დადასტურება.

მამა ვალენტინი მორდასოვი. მოძღვრის ძალაზე სასარგებლო რჩევები მრევლისთვის. www. Sibrdzne.ge/20323 გვ. 92. დადასტურება.

სერგო ვარდოსანიძის „ფეისბუკგვერდი“ - https://www.facebook.com/permalin-k.php?story_fbid=2986062178375930&id=100009165324722

ცოფურაშვილი, თ. *მითი იმის შესახებ, რომ ქალის ადგილი მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით სახლშია* https://mythdetector.ge/ka/mithi-imis-shesakheb-rom-qalis-adgili-marthlmadidebluri-stsavlebis-mikhedvith-sakhlshia/


## REFERENCES


surguladze, i. (2003). mitosi, k'ult'i, rit'uali sakartveloshi. tbilisi

ts'minda nik'oloz serbi (velimirovichi) http://sibrdzne.ge/19087 dadast'ureba

mama valent'ini mordasovi. modzghvris dzalaze sasargeblo rchevebi mrevlistvis. Sibrdzne.ge 20323 gv. 92. dadast'ureba

sergo vardosanidzis „peisuk'gverdi“ - https://ww¬w.facebook.com/permalink.php?story_fbid=298-60621¬783¬75930&id=1000¬09¬16¬5324722

tsopurashvili, t. miti imis shesakheb, rom kalis adgili martlmadidebluri sts'avlebis mikhedvit sakhlshia https://mythdetector.ge/ka/mithi-imis-shesakheb-rom-qalis-adgili-marthlmadidebluri-stsavlebis-mikhedvith-sakhlshia/

**მადლიერება**

მადლიერებას ვუდასტურებთ ყველა იმ მთხრობელს, რომელიც არ დაგვზარდა, გაგვყვა სასაფლაოზე და აგვიხსნა ე.წ. ენიგმატური ეპიტაფიით (,,თავსატეხი ეპიტაფიების", ,,ეპიტაფია-გამოცანა) მინიშნებული, უცხოსთვის ზოგჯერ გამოუცნობი სინამდვილე.